

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი). აღნიშნული კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებათა დელეგირების მიზნით, შესაბამისი სფეროების განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა.

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზანია კოდექსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა და კოდექსში არსებული ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი ხარვეზების გასწორება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრული გამიჯვნა და ერთგვაროვანი ტერმინოლოგიის დამკვიდრება მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ აქტებში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა გამოწვეულია კოდექსში არსებული ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი უზუსტობებით, რომელიც წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას ერთგვაროვანი ტერმინოლოგიის დამკვიდრების და სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზანია, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილების განხორციელება და კოდექსის სრულყოფა.

წინამდებარე კანონის პროექტით აღმოიფხვრება კოდექსში არსებული უზუსტობები, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო ზედამხედველობის მიმართ გამოსაყენებელ ტერმინებს.

აღსანიშნავი ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე არ ვრცელდებოდა 1997 წელს მიღებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული პირები ექცევიან მოხელეებში და მათზე ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, თუმცა ზემოაღნიშნულ პირებზე გავრცელდება კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის რეგულაცია, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებულ რეგულაციას ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების უფლებამოსილების შეჩერების, შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაცია საჭიროებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები გამიჯნულია. თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და თავისი პასუხისმგებლობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია.

ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება.

პრობლემას ქმნის გარემოება, რომ კოდექსის გარკვეულ მუხლებში გამოყენებულია ჩანაწერი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“, რაც მხოლოდ ერთი ტიპის დასახლებაში - ქალაქში სამგზავრო გადაყვანას მოიცავს. ამასთან, ამგვარი დაყოფა უსაფუძვლოა, ვინაიდან, არა მხოლოდ ქალაქის ტიპის დასახლებებშია აუცილებელი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ორგანიზება, არამედ, ნებისმიერი ტიპის დასახლებაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კოდექსის მთელს ტექსტში, გამოყენებულია ტერმინი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ხოლო, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც გააჩნია ორგანოები. შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ორგანოს აღსანიშნავად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს“ და „თვითმმართველი ერთეულის“ ნაცვლად, გამოყენებული იქნება ერთი ტერმინი - „მუნიციპალიტეტის ორგანო“.

აღნიშნული ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილების გარდა, კოდექსში ხორციელდება მთელი რიგი შინაარსობრივი ცვლილებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება გარკვეული საკითხებისა და რეგულაციების დაზუსტება და შემოღება.

კანონპროექტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განისაზღვრება მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ვინაიდან მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს კულტურის სფეროს განვითარების მიზნით, რაც მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ამაღლებისთვის და სოციალური ფონის გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, მე-16 მუხლის ცვლილებით გაჩნდება შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი მუნიციპალიტეტების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ღონისძიებებისთვის.

კანონპროექტის თანახმად კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ყალიბდენა ახალი რედაქციით და ტერმინოლოგიურად დაკორექტირდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ მუნიციპალიტეტის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

კანონის პროექტის შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება კოდექსის მე-20 მუხლში, რომელიც ატარებს ტექნიკურ ხასიათს. კოდექსის 106¹ მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების საკითხს, ხოლო მე-20 მუხლში საუბარია მუნიციპალიტეტების მიერ თავიანთი საქმიანობის კოორდინაციისა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/პირების დაფუძნებაზე და მათში გაწევრებაზე. აღნიშნული იურიდიული პირი იქმნება იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტების სახელით კოორდინაცია გაუწიონ ერთობლივ ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში, ითანამშრომლონ სახელმწიფო ხელისუფლების

ორგანოებთან, თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან), აგრეთვე დაამყარონ ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში შესაბამის უცხოურ კავშირებთან (ასოციაციებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შესაბამისად, კოდექსის მე-20 მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება მიზნად ისახავს, კოდექსში ბუნდოვანების აღმოფხვრას, იმისთვის, რომ არ მოხდეს კოდექსის მე-20 მუხლითა და 106¹ მუხლით განსაზღვრული იურიდიული პირების ერთი და იმავე იურიდიულ პირად მიჩნევა.

ცვლილება ხორციელდება კოდექსის 75-ე მუხლში და ჩანაწერი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“, იცვლება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანით“, რაც უზურნველყოფს ერთიანი ზოგადი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას და კოდექსის სხვა მუხლების ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობაში მოყვანას.

კანონპროექტის შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტი, იმისთვის, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების არაერთგვაროვნად განმარტების საკითხი, კერძოდ, დაზუსტდება, რომ მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. თანხმობა არ იქნება საჭირო, თუ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან მხოლოდ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს. აღნიშნული ცვლილება უფრო ეფექტიანს და მოქნილს გახდის მუნიციპალიტეტის მიერ ქონების უსასყიდლოდ გადაცემის პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ ქონების მიმღებს წარმოადგენს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები, სხვა მუნიციპალიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირი (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი ან საწარმო, მიზანშეწონილია მათთვის ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებად განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მერი, ხოლო საკრებულოს თანხმობის აუცილებლობა დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების მიმღები იქნებიან სხვა პირები, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილება შეეხო კოდექსით გათვალისწინებულ ზედამხედველობის განხორციელების საკითხს. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საქმიანობა კი ხორციელდება ან საკუთარი, ან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად. აღნიშნული უფლებამოსილებებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისად კი, განსხვავდება და განისაზღვრება სახელმწიფო ზედამხედველობის სახეები და წესი, რასაც არეგულირებს კოდექსი.

კოდექსი იცნობს სახელმწიფო ზედამხედველობის ორ სახეს: დარგობრივი ზედამხედველობა, რომელიც ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილებების მიმართ

და სამართლებრივი ზედამხედველობა, რომელიც ხორციელდება საკუთარი უფლებამოსილებების მიმართ. კოდექსის არსებული რედაქცია, ზოგიერთ შემთხვევაში არ აკონკრეტებდა სახელმწიფო ზედამხედველობის სახეს. მაგ.: კოდექსის 134 და 135-ე მუხლები, სადაც დარგობრივი ზედამხედველობის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი - სახელმწიფო ზედამხედველობა.

ხსენებული უზუსტობის გამო, დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებისას შესაძლო ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ხდება კოდექსის შესაბამისი ჩანაწერების კორექტირება და იმ შემთხვევაში, თუ რეგულაცია ეხება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე ზედამხედველობას, გამოიყენება ტერმინი - დარგობრივი ზედამხედველობა, „სახელმწიფო ზედამხედველობის“ ნაცვლად.

კანონის პროექტის შესაბამისად, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, აგრეთვე უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები მოწესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ისევე როგორც სხვა საჯარო მოხელეების.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი არ განიხილება დაჩქარებული წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით შესაძლო აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს 2020-2023 წლებში წარმოადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება შემდგომი 3 წლის განმავლობაში უმეტეს შემთხვევაში არ იქონიებს გავლენას მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე. მომავალში, რიგ მუნიციპალიტეტებში (ძირითადად ურბანული ტიპის მუნიციპალიტეტებში) სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესების კვალობაზე შესაძლებელია მუნიციპალური ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ეტაპობრივი ზრდა, ვინაიდან ნებართვის გაცემა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გარკვეული საფასურის გადახდასთან, ხოლო გავლენის ოდენობა დამოკიდებულია როგორც სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაზე, ასევე, დაფარვის არეალზე და სიხშირეზე. თითოეული არეალისათვის შესაძლებელი იქნება ინდივიდუალურად მოხდეს ფინანსური გათვლები, მას შემდეგ რაც მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტების კომპეტენცია დაზუსტდა რასაც ისედაც აკეთებდნენ, შესაბამისად ამ კუთხით ცვლილება არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას, კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად, კანონპროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის და მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების განხორციელება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით, რაც მოითხოვს ორგანიზაციული, ტექნიკური და მარეგულირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და რეალიზებას. აღნიშნული, რიგი მუნიციპალიტეტებისათვის დამატებით საბიუჯეტო დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობის, დასახლებათა სიმჭიდროვის და განფენილობის, ეკონომიკური განვითარების, სამეწარმეო აქტიურობის დონის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება მოცემულ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია კომერციულ საწყისებზე (მგზავრების გადაყვანა განხორციელდება კერძო სექტორის მიერ), ან/და მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით (შესაძლოა განხილულ იქნეს საჯარო და კერძო თანამშრომლობა) ან/და სამგზავრო-სატრანსპორტო მომსახურება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ხარჯებით.

ზემოაღნიშნული ალტერნატივები, როგორც შესაძლებლობები, გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ზოგადად, საჯარო უფლებამოსილებებთან მიმართებით. ყოველ კონკრეტულ არჩევანს გააკეთებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი არსებული რეალობის, შესაძლობისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. ამდენად, ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი წინასწარი, ცალსახად გადაწყვეტილი პოზიციის არსებობა ამ საკითხთან მიმართ, კერძოდ, თუ რომელი მიესადაგება ინდივიდუალურად რომელიმე მუნიციპალიტეტს ან იქნება ყველა მუნიციპალიტეტისათვის საერთო. გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას, სპეციალურ შესწავლასა და აპრობირებას თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით, რაც როგორც აღინიშნა სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ. შესაბამისად, არსებული მწირი პრაქტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე გავლენა, პირველ ეტაპზე, სხვადასხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, დაახლოებით იქნება საშუალოდ 250 ათასი ლარიდან 1 500 000 ლარამდე ფარგლებში. აღნიშნული, ისევე როგორც ყოველწლიური ფინანსური ხარჯი, დამოკიდებული არის როგორც სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაზე, ასევე, დაფარვის არეალზე და სიხშირეზე. თითოეული არეალისათვის ინდივიდუალურად მოხდება ფინანსური გათვლები, მას შემდეგ რაც მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება, ისევე, როგორც სხვა საკუთარი უფლებამოსილებები, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია დაკავშირებულ იყოს საბიუჯეტო დანახარჯებთან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე

გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი გავლენას იქნობის იმ პირებზე ვინც აიღებენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას, ვინაიდან ნებართვის გაცემა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გარკვეული საფასურის გადახდასთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი, თუმცა ზუსტდება, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა შესაძლებელია გაიცეს როგორც თვითმმართველ ქალაქებში (რუსთავი, თბილისი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი) ასევე დანარჩენ მუნიციპალიტეტებშიც.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.